



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/21

19 მაისი 2022


ქ. თბილისი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის  
ცვლილების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2022 წლის 18 აპრილის №01-05-04/33 დადგენილებისა და სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2022 წლის 19 მაისის №01-06-02/03 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ძირითად ადგილად თბილისის ფარგლებში, განისაზღვროს კახეთის გზატკეცილის №36-ში (ისანი - სამგორის რაიონი) მდებარე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული 27 538 მ<sup>2</sup> ფართი და იქ განლაგებული შენობა-ნაგებობა;
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ადგილის ცვლილების მიზნით, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დაევალოს, ეტაპობრივად მოამზადოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილების შესახებ განაცხადები სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში წარსადგენად;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გახოკიძე